ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7375765

ნომერი: AR11077063

თარიღი : 10.02.2025

გაცემის თარიღი : 11.02.2025

გაცნობის თარიღი : 12.02.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ს. ჩიქოვანის ქ. N26;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ პაპუკაშვილი პ/ნ 01008044858
- თბილისი თ.აბულაძის ქ. N 22 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 10 თებერვალს №AR11077063 განცხადებით მომართა მარიამ პაპუკაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 1

დეკემბრის №6785843 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, ს. ჩიქოვანის ქ. №26-ში მდებარე №01.14.14.006.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 1 დეკემბრიდან 2027 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6797454 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანებაში და ბრძანების სატიტულო ინფორმაციაში, მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ის ველში, მესაკუთრე(ები)ს გრაფა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მესაკუთრე(ები): შპს “ურბანუს მზიური” (ს/ნ: 445725831).“.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებლის მიერ განმარტებულია, რომ სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ შეთანხმებული +3.00 ნიშნულის გეგმა, ჭრილები და ფასადები „1-5“, „ვ-ა“ ღერძებში შეუსაბამოა შეთანხმებულ დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას და შეთანხმებული +3.00 ნიშნულის გეგმის, „1-5“, „ვ-ა“ ჭრილებისა და „1-5“, „ვ-ა“ ფასადების ჩანაცვლებას წარმოდგენილით.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ შეთანხმებული +3.00 ნიშნულის გეგმა, ჭრილები და ფასადები „1-5“, „ვ-ა“ ღერძებში შეუსაბამო იყო შეთანხმებულ დოკუმენტაციასთან, შესაბამისად შესაძლებელია შეთანხმებული +3.00 ნიშნულის გეგმის, ჭრილებისა და ფასადების „1-5“, „ვ-ა“ ღერძებში ჩანაცვლება წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანებაში და შეთანხმებული +3.00 ნიშნულის გეგმა, ფასადები „1-5“, „ვ-ა“ ღერძებში და ჭრილები „1-5“, „ვ-ა“ ღერძებში ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით, ამავე ფასადებითა და ჭრილებით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 და 2023 წლის 11 დეკემბრის №6797454 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.